



## ამხანაგობა „გოჩაი ინჟაათი და მაქრო კონსტრაქშენი“

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) გაუმჯობესების პროექტში შეტანილი ცვლილებები

## სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შპს „ფამილი-ლე კონსალტინგი“

დირექტორი

მ. მდინარაძე

2023 წელი

---



## სარჩევი

1	შესავალი.....	3
2	დაგეგმილი საქმიანობის აღწერა.....	5
2.1	სამშენებლო სამუშაოები.....	8
2.1.1	სამშენებლო ბანაკის დახასიათება.....	8
2.1.1.1.	სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაწყობი ძირითადი ობიექტების აღწერა.....	12
2.1.2	სამშენებლო ბანაკის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება.....	28
2.1.2.1	წყალმომარაგება .....	28
2.1.2.2	ჩამდინარე წყლები .....	29
2.1.2.3	ჩამდინარე წყლების მართვა.....	30
3	გარემოს ფონური მდგომარეობა.....	31
3.1	ხმაური და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.....	32
3.1	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე.....	33
3.2	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	33
3.3	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე.....	34
3.4	ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	35
3.5	შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.....	35
3.6	ზემოქმედება წყლის გარემოზე.....	35
3.7	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე .....	36
3.8	ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკები.....	36
3.9	კუმულაციური ზემოქმედება.....	36
4	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება.....	37
5	დასკვნა.....	39
6	დანართები .....	40
6.1	დანართი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან .....	40
6.2	დანართი - მიწისქვეშა წყლის მოპოვებაზე ლიცენზიის მოთხოვნა.....	42
6.3	დანართი - ხელშეკრულება მოხსნილი გრუნტის განთავსების შესახებ .....	43
6.4	დანართი - ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი .....	45
6.5	დანართი - სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის კოორდინატების ელექტრონული ვერსია -shape ფაილი .....	46



# 1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) გაუმჯობესების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

ზემოაღნიშნული გზშ-ს საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-1011 (02/07/2021)). აღსანიშნავია, რომ ხსენებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებში საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამშენებლო სამუშაოები გაიყო სამ ლოტად: კმ 0+310 - კმ 4+040 (ლოტი 0) , კმ 4+040 - კმ 27+840 (ლოტი 1) და კმ 27+ 840 - კმ 35+500 (ლოტი 2). საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტში განხილული მონაკვეთის (კმ 27+ 840 - კმ 35+500 ლოტი 2) მშენებლობა დაევალა ტენდერის გზით გამოვლენილ კომპანიას - ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენი“-ს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის 4.13.2 ქვეთავის შესაბამისად, სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად შერჩეული იქნა ხუთი ალტერნატიული ტერიტორია, შემდეგი საკადასტრო კოდებით - 81.10.39.269; 81.10.27.730; 81.10.27.974; 81.10.30.696; 55.15.62.050 (გზშ-ის ანგარიშში, ქვეთავი - 4.13.2 სამშენებლო ბანაკები, გვ. 46), თუმცა მშენებელი კონტრაქტორის მიერ მოხდა სხვა უფრო ხელსაყრელი ტერიტორიის მოძიება დროებითი ბანაკის მოსაწყობად. შერჩეული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 55.12.62.001.605) წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია და გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება.

გზშ-ს ანგარიშში (თავი 4.13.2) მითითებულია, რომ სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობასთან და შემადგენლობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება მშენებელ-კონტრაქტორის მიერ. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ცვლილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №2-1011 ბრძანებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ესქპლუატაციის პირობების შეცვლაა და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს.

პროექტს ახორციელებს ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენი“. წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში მომზადებულია შპს „ფამილი-ლე კონსალტინგი“-ს მიერ. საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის და საკონსულტაციო კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

## ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განხორციელებელი კომპანია	ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N22
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. საგარეჯო
საქმიანობის სახე	სამშენებლო ბანაკის მოწყობა
<b>ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენის“ საკონტაქტო მონაცემები:</b>	
საიდენტიფიკაციო კოდი	205497354



ელექტრონული ფოსტა	info@maqro.ge
წარმომადგენელი	სერქან ოზერ
საკონტაქტო ტელეფონი	577308660
<b>საკონსულტაციო კომპანია:</b>	შპს „ფამილი-ლე კონსალტინგი“
დირექტორი	მაკა მდინარაძე
საკონტაქტო ტელეფონი	591 06 05 83
ელექტრონული ფოსტა	<a href="mailto:familyconsulting@gmail.com">familyconsulting@gmail.com</a>



## 2 დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) გაუმჯობესების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ცვლილებას, სამშენებლო ბანაკის მოწყობას მშენებელი კონტაქტორის მიერ შერჩეულ ტერიტორიაზე (კმ 27+ 840 - კმ 35+500 ლოტი 2).

სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთის შერჩევა მოხდა გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- მაგისტრალის სამშენებლო დერეფანთან სიახლოვე;
- კომუნიკაციების ხელმისაწვდომობა;
- დამაკმაყოფილებელი ბუნებრივი პირობები;
- მგრძობიარე რეცეპტორებიდან დაშორების დამაკმაყოფილებელი მანძილები;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწა.

სამშენებლო ბანაკისათვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს ქ. საგარეჯოში, რომელიც მდ. იორიდან დაშორებულია 1.2 კმ-ით, მდ. თვალთხევიდან 0.35 კმ-ით (სამშენებლო ბანაკის ტერიტორია არ შედის მდინარის წყალშემკრებ არეალში) და უახლოესი დასახლებული პუნქტიდან (ქ. საგარეჯო) 1.3 კმ-ით.

საპროექტო ცვლილებების მიხედვით სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული უბნის გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1. სამშენებლო ბანაკისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საერთო ფართი არის 50729 მ<sup>2</sup>, ობიექტის მშენებლობისას ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლება არ არის მოსალოდნელი, რადგან ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენს“ სახელმწიფოსთან გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება რაც ასახულია ტერიტორიის საჯარო რეესტრის ამონაწერში (იხ. დანართი 6.1.).

ცხრილი 2.1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის კუთხის წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები:

სამშენებლო ბანაკი			მისასვლელი გზა		
N	X	Y	N	X	Y
1	527429	4617365	4	527986	4617363
2	527665	4617290	5	527657	4617366
3	528020	4617263	6	527445	4617422


სამშენებლო ბანაკის მოწყობისას მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ იქნება, რადგან ტერიტორია მდებარეობს რუდერალური მდელოს ტიპის ჰაბიტატში. ადგილზე გასვლამ და მიდამოს დათვალიერებამ აჩვენა, რომ რუდერალური მდელოს გავრცელების არე დიდია, რომელსაც ანაცვლებს სასოფლო სამეურნეო სავარგულები.

ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან ობიექტი მაღალი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე უბანზე ეწყობა.

სამშენებლო ბანაკისთვის შემოთავაზებული ტერიტორიის სიტუაციური სქემა ნაჩვენებია ორთოფოტო 2.1 (აღნიშნული ტერიტორიების კოორდინატების ელექტრონული ვერსია - ე.წ. „shape“ ფაილები თან ერთვის სკრინინგის-ს ანგარიშს, იხ. დანართი 6.5) ქვემოთ მოცემულ სურათებზე წარმოდგენილია აღნიშნული ტერიტორიის ხედები (იხ. სურათი 2.1).



ორთოფოტო 2.1 სამშენებლო ბანაკის სიტუაციური სქემა





სურათი 2.1 და 2.2. ტერიტორიის ზოგადი ხედები

სურათი 2.1. სამშენებლო ზანაკისთვის შერჩეული ტერიტორია



სურათი 2.2. სამშენებლო ზანაკის მიმდებარე გარემო





## 2.1 სამშენებლო სამუშაოები

სამშენებლო ბანაკის მოწყობის სამუშაოები გულისხმობს:

- მიწის მოსამზადებელ სამუშაოებს;
- სამშენებლო ბანაკის შემოღობვას;
- სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ყველა საჭირო ინფრასტრუქტურული ობიექტის განთავსებას.

საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო დროდ განსაზღვრულია 3 წელი, შესაბამისად სამშენებლო ბანაკის და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ფუნქციონირების ვადები საავტომობილო გზის მშენებლობის ვადების შესაბამისია.

### 2.1.1 სამშენებლო ბანაკის დახასიათება

როგორც აღვნიშნეთ საპროექტო ცვლილებების მიხედვით მოხდა სამშენებლო ბანაკისთვის ახალი ტერიტორიის შერჩევა, რომელსაც გზმ-ს ანგარიშში მოცემული შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად ყველაზე ხელსაყრელად ჩაითვალა. საბაზისო პროექტისაგან განსხვავებით გათვალისწინებულია ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროს მოწყობა.

საპროექტო ცვლილების გათვალისწინებით სამშენებლო ბანაკზე მოეწყობა შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:

1. ოფისები
2. სატრანსპორტო საშუალებების სადგომი;
3. დიზელის რეზერვუარი 2 ერთეული;
4. მუშა პერსონალის მოსასვენებელი და სასადილო სივრცეები;
5. ბეტონის მობულური ქარხანა;
6. ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი მობილური ქარხანა;
7. სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა;
8. სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შემკრები რეზერვუარი;
9. თხევადი გაზის რეზერვუარი;
10. საწყობი;
11. მძიმე ტექნიკის შესაკეთებელი;
12. ლაბორატორია;
13. ტექნიკური წყლის რეზერვუარი;
14. ტექნიკური წყლის ჭაბურღილი;

სამშენებლო ბანაკისთვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთი ხასიათდება ოდნავ ქანობიანი ზედაპირით და დაფარულია დაბალი ღირებულების მცენარეული საფარით, აღსანიშნავია რომ შერჩეული მიწის ნაკვეთი არ ხასიათდება საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკის მქონე უბნად, შესაბამისად ამ მხრივ ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სამშენებლო ბანაკში დროებითი ნაგებობები იქნება მსუბუქი კონსტრუქციის, რომელთა საძირკველიც მოთავსდება ბეტონის ფილაზე.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებული იქნება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, საიდანაც გაწმენდილი წყალი დაგროვდება 64 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიკულ ორმოში. დაგროვილის გატანა მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელსაც ექნება სამეურნეო-ფეკალურ ჩამდინარე წყლების მართვის ნებართვა ან შესაბამისი ხელშეკრულება ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ





ნაგებობასთან. გამწმენდი ნაგებობა გათვლილი იქნება ბანაკში მომუშავე პერსონალის მაქსიმალურ რაოდენობაზე (170 ადამიანი), რაც შეეხება ტექნიკური წყლისთვის (ავტომობილების სამრეცხაო), გათვალისწინებული იქნება ნავთობდამჭერის და სალექარის მოწყობა.

სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციის ეტაპზე ელ. ენერჯის ავარიულად გათიშვის დროს სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისთვის გათვალისწინებულია დიზელ-გენერატორის მოწყობა. სამშენებლო ბანაკში ასევე გათვალისწინებულია დიზელის სამარაგო 2 ერთეული რეზერვუარების მოწყობა, ჯამური მოცულობით 45 მ<sup>3</sup>.


ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სატრანსფორმატორო ჯიხურის მოწყობა, რომელიც აღჭურვილი იქნება ავარიულ სიტუაციებში დაღვრილი ზეთის შემკრები ავზით.


კომპანიას სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად სახელმწიფოსგან იჯარის ხელშეკრულებით 3 წლის ვადით აღებული აქვს 50729 მ<sup>2</sup> მიწის ფართი.

სასმელი წყლის მოხმარება მოხდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მობილური ავზის საშუალებით შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სასმელ წყალს პერიოდულად (ან საჭიროებისამებრ) ჩაუტარდება ლაბორატორიული შემოწმება. სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის წყალაღება მოხდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილი 2 ერთეული ჭაბურღილიდან შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე (იხ დანართი 6.2- ლიცენზიის მოთხოვნის წერილი).



ნახაზი 2.1.1.1 სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა ორ ნაწილად







### 2.1.1.1. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაწყობი ძირითადი ობიექტების აღწერა

ქვემოთ მოცემულია სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაწყობი ძირითადი ობიექტების აღწერა:

#### ადმინისტრაციული კორპუსი - ოფისი

ოფისისთვის გათვალისწინებულია სენდვიჩპანელების ორსართულიანი შენობა (იხ. სურათი. 2.1.1.1.1). შენობა გათვალისწინებული იქნება 50 თანამშრომელზე, სადაც მოეწყობა სამუშაო და შეხვედრის ოთახები და სველი წერტილები. ოფისის გასათბობად გამოყენებული იქნება ელ. გამათბობლები, ხოლო გაგრილებისთვის კონდინციონერები.

შენობის პარამეტრებია:

- განაშენიანების ფართი - 187,1 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 468 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 1029,1 მ<sup>3</sup>.

სურათი. 2.1.1.1.1



ოფისის რენდერი

ობიექტის დენის კვების ალტერნატიულ წყაროდ გათვალისწინებულია 500 კვტ სიმძლავრის დიზელ გენერატორი (SDMO V630C2). დიზელ გენერატორი განთავსებული იქნება ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის დამჭერ ვანაზე (იხ. სურათი 2.1.1.1.2). სურათი 2.1.1.1.2 - დიზელ-გენერატორის განთავსება ავარიული დაღვრის დამჭერ ვანაზე



ტიპიური სურათი

### მუშა პერსონალის მოსასვენებელი და სხვა სახის შენობა-ნაგებობები

მუშა პერსონალისთვის გათვალისწინებულია მოსასვენებელი კორპუსი, რომელიც იქნება 2 სართულიანი სენდვიჩპანელების შენობა. შენობები გათვლილი იქნება 120 კაცზე. ასევე გათვალისწინებულია სასადილო სივრცე, სამზარეულო და სხვა დამხმარე სივრცეები რადგან ბანაკის განთავსების არეალი არ არის გაზიფიცირებული, გათვალისწინებულია თხევადი გაზის გამოყენება, რისთვისაც მოეწყობა 20 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი, რომლის შევსება პერიოდულად მოხდება სპეც ავტომობილის მეშვეობით. თხევადი გაზის საპროგნოზო დღიური ხარჯი იქნება 1 მ<sup>3</sup>. ქვემოთ მოცემულია შენობების ჩამონათვალი შესაბამისი პარამეტრებით:

სამრეცხაო და ბანაკის უფროსის ოთახის პარამეტრებია (იხ. სურათი 2.1.1.1.3):

- განაშენიანების ფართი - 120 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 105,6 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 360 მ<sup>3</sup>.



შენობის რენდერი

**კლინიკა** - სამუშაოების მიმდინარეობისას სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მუდმივად იქნება სამედიცინო პერსონალი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად დახმარებას აღმოუჩენს მუშა-პერსონალს.

კლინიკის შენობის პარამეტრებია (იხ. სურათი 2.1.1.1.4):

- განაშენიანების ფართი - 130,1 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 112,3 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 520,4 მ<sup>3</sup>.



შენობის რენდერი

მოსასვენებელი კორპუსის პარამეტრებია (იხ. სურათი 2.1.1.1.5):

- განაშენიანების ფართი - 285,8 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 515,6 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 1571,9 მ<sup>3</sup>.

სურათი 2.1.1.1.5



შენობის რენდერი

პერსონალის დასასვენებელი ოთახის პარამეტრებია (იხ. სურათი 2.1.1.1.6)

- განაშენიანების ფართი - 65.7 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 51.5 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 184 მ<sup>3</sup>.





შენობის რენდერი

სამზარეულო-სასადილოს შენობის პარამეტრებია (იხ. სურათი 2.1.1.1.7):

- განაშენიანების ფართი - 487.4 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 449.0 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 1705.9 მ<sup>3</sup>.



შენობის რენდერი

**ლაბორატორია** - კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოხდება შესრულებული სამუშაოების (დატკეზნილი გრუნტის, დასხმული ბეტონის და ასფალტის ფენის და სხვა) სავლე ლაბორატორიული კვლევები. გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში დაიგეგმება დეტალური ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება.

ლაბორატორიის შენობის პარამეტრებია (იხ. სურათი 2.1.1.1.8):

- განაშენიანების ფართი - 149.1 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 132.0 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 521 მ<sup>3</sup>.




შენობის რენდერი

**საწყობი** - გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სამშენებლო მასალების დასასაწყობებლად, რომელთა განთავსება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების და მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ რეკომენდირებული არ არის.

საწყობის შენობის პარამეტრებია (იხ. სურათი 2.1.1.1.9):

- განაშენიანების ფართი - 376.0 მ<sup>2</sup>;
- სასარგებლო ფართი - 367.5 მ<sup>2</sup>;
- შენობის მოცულობა - 1880 მ<sup>3</sup>.




შენობის რენდერი

### ნარჩენების დროებითი დასაწყობების ადგილები


სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა ნარჩენების დროებითი დასაწყობების 2 ტიპის ადგილი, ღია მოედანი და ფარდული.

ღია მოედანზე (იხ. სურათი 2.1.1.1.10) განთავსდება ისეთი ნარჩენები რომელიც ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების მიმართ მდგრადები არიან, როგორცაა რკინის და ფოლადის ნარჩენები, პლასტმასის ნარჩენები, ხის ნარჩენები და სხვ. ღია მოედანზე ნარჩენების სეპარირების თვალსაჩინოებისთვის გაკეთდება შესაბამისი ეტიკეტირება, ასევე განთავსდება ნარჩენებზე მოპყრობის წესი.



ლია მოედნის რენდერი

ფარდულში (იხ. სურათი 2.1.1.1.11) განთავსდება ისეთი ნარჩენები, რომელიც ატმოსფერულ ნალექების ზემოქმედებას განიცდიან. ფარდულს ექნება ბუნებრივი ვენტილაცია. ფარდულში ნარჩენების სეპარირების თვალსაჩინოებისთვის გაკეთდება შესაბამისი ეტიკეტირება, ასევე განთავსდება ნარჩენებზე მოპყრობის წესი.



ფარდულის რენდერი

სატრანსპორტო საშუალებების სადგომი და საწვავით უზრუნველყოფა



სატრანსპორტო საშუალებებისთვის და სამშენებლო მძიმე ტექნიკისთვის ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 1500 კვ.მ. ფართობზე ავტოსადგომის მოწყობა. ავტოსადგომი გათლილი იქნება 50 სატრანსპორტო საშუალებაზე, 30 ერთეული ავტოსატრანსპორტი თანამშრომლებისთვის და დანარჩენი სივრცე სტუმრებისთვის.

სამშენებლო ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფისთვის ტერიტორიაზე მოეწყობა 2 ერთეული დიზელის რეზერვუარი ჯამური ტევადობით 45 მ<sup>3</sup> (25 მ<sup>3</sup> და 20 მ<sup>3</sup>). დიზელის რეზერვუარებისთვის გათვალისწინებული იქნება ავარიული დაღვრის შემკრები სისტემა (ტიპური სურათი იხ. სურათი 2.1.1.1.12). საწვავის დღიური მოხმარების სავარაუდო რაოდენობა არის 2-4 მ<sup>3</sup>/დღ. სამშენებლო ტექნიკის ჩამონათვალი, რომელიც საჭიროებს დიზელის მოხმარებას იხილეთ ცხრილში 2.1.1.1.1.

ცხრილი 2.1.1.1.1

სამშენებლო ტექნიკა	მარკა	რაოდენობა (ცალი)
ამწე საავტომობილო სვლაზე	JAC	1
ავტობეტონსარევი	MAN	5
ექსკავატორი	JCB	2
ექსკავატორი საავტომობილო სვლაზე	JCB	1
ავტოთვიტმცლელი	FORD	8
დამტვრითველი	VOLVO	1
სარწყავ-სარეცხი მანქანა	HOWO	2
საწვავმზიდი	MAN	1
ბორტიანი მანქანა	FORD	2

სურათი 2.1.1.1.12



დაღვრის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიების ტიპიური სურათი


### **სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა**

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა წარმოდგენილი იქნება 2 ერთეული ჭაბურღილით (საორიენტაციო სიღრმე 130 მ) და ორი 150 მ<sup>3</sup> და 30 მ<sup>3</sup> მოცულობის ლითონის რეზერვუარებით. მიწისქვეშა წყალმომარაგებაზე „კომპანიას“ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან მოთხოვნილი აქვს 57600 მ<sup>3</sup> წლიურ მოცულობაზე ლიცენზია 2 წლის ვადით (იხ. დანართი 6.2).


### **სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურა**

სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების გაწმენდისთვის დაგეგმილია ღრმა ბიოლოგიური გამწმენდი სისტემის მოწყობა (KANN ECO ULTRA 25). გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია ბანაკის ტერიტორიაზე, რომელიც სრულად უზრუნველყოფს დადგენილი პარამეტრების შესაბამისად სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების მთლიანი რაოდენობის გაწმენდას.

სქემა 2.1.1.1.1 ბიოლოგიური გამწმენდი სადგური KANN ECO ULTRA 25 გაბარიტული ნახაზი




სქემა 2.1.1.1.2. ქვიშანავთობმჭერი KANN PN-0,3 0,3ლ/წ A- A







სქემა 2.1.1.1.3. ცხიმდამჭერი KANN F 2,5 ლ/წ



ჩამდინარე წყლების საბოლოო ხარისხობრივი მდგომარეობა შეესაბამება, როგორც საქართველოს გარემოსდაცვით ნორმებს, ისე ევროდირექტივის მოთხოვნებს.



დასახელება	შემომავალი წყალი	განმენდილი წყალი
შენიშნული ნაწილაკები	<500	10-15მგ/ლ
ქმ(ქანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება)	<35	10-15მგ/ლ
ქმ(ქანგბადის ქიმიური მოთხოვნილება)	200-400	20-40მგ02/ლ
საერთო აზოტი	40-50	0.5მგ/ლ
ფოსფატი	10-20	2.0მგ/ლ

ჩამდინარე წყლები გაწმენდის შემდეგ გროვდება ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარში, რომლის მოცულობა იქნება 64 მ<sup>3</sup>. რეზერვუარში დაგროვილი გაწმენდილი წყლის გატანა მოხდება პერიოდულად კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელსაც ექნება სამეურნეო-ფეკალურ ჩამდინარე წყლების მართვის ნებართვა ან შესაბამისი ხელშეკრულება ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობასთან.

### ბეტონის ქარხანა

ბანაკის ტერიტორიაზე განსაზღვრულია Ranger 90 მოდელის ბეტონის მობილური ქარხნის მოწყობა. ქარხანა წარმოებულია თურქეთში, აღნიშნული წარმოადგენს მობილურ კონსტრუქციას.

Ranger 90-ის მზა ბეტონის შემრევი ქარხანა შექმნილია Vur-Mak-ის მიერ, რომელიც გამიზნულია მცირე მასშტაბის სამუშაოებისთვის, მათ შორის საავტომობილო გზების მშენებლობის პროცესში.

90 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის მოდელში მიქსერის პლატფორმის მოძრაობა უზრუნველყოფილია ცალკე ამწე მექანიზმით. აგრეგატის გადამზიდავი ერთეული მიქსერის პლატფორმაზე აგრეგატს შევრონის ქამრით გადააქვს.

საპასპორტე მონაცემებია:

- წარმადობა - 90 მ<sup>3</sup>/სთ;
- აგრეგატის ბუნკერის მოცულობა - (4X20) = 80 მ<sup>3</sup>;
- ცემენტის ამწონი ბუნკერი - 1200 კგ;
- წყლის ასაწონი ბუნკერი - 600 ლ;
- დანამატი ასაწონი ბუნკერი - 50 ლ;
- ცემენტის სილოსი - 100 ტ (2 ერთეული);
- ცემენტის ხრახნიანი კონვეირი - დიამეტრი 273-11500 მმ 18 კვტ (2 ერთეული);
- ჯამური დადგმული სიმძლავრე (გარდა სილოსისა) – 125 კვტ.

ქარხნის ტიპური სურათები იხილეთ სურათი 2.1.1.1.13.



სურათი 2.1.1.1.13.



წელიწადში გამოსაშვები ბეტონის რაოდენობა, 264 სამუშაო დღის და დღე-ღამეში 8 საათი მუშაობის პირობებისთვის, შეადგენს 190 080 მ<sup>3</sup> ბეტონს, რომლის წარმოებისთვის საწარმო გამოიყენებს 76 032 ტ ცემენტს, 54 560 მ<sup>3</sup> (44640 ტ) ქვიშას, 81 840 მ<sup>3</sup> (66960 ტ) ღორღს, 19 008 ტ წყალს. ბანაკის ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის მოწყობა. დამსხვრეული მასალის მიწოდება მოხდება ბეტონის კვანძის მიმღებ ბუნკერებში, საიდანაც დოზირებული სახით ბეტონშემრევს მიეწოდება ლენტური ტრანსპორტიორით. ცემენტი საწარმოში შემოიზიდება ცემენტმზიდებით და პნევმოგაყვანილობის მეშვეობით საწყობდება ცემენტის სილოსებში, რომელებიც აღჭურვილია ქსოვილიანი ფილტრებით 99 %-იანი მტვერდაჭერით. სილოსებიდან ცემენტი მიეწოდება დოზატორს, საიდანაც დოზირებული ცემენტი ჩაიტვირთება ბეტონშემრევში. ასევე წყალიც დოზატორის გავლის შემდეგ ხვდება ბეტონშემრევში. ბეტონის მორევა ხდება დახურულ სივრცეში.

### სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხანა

სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე იგეგმება სამსხვრევ-დამხარისხებელი მობილური ქარხნის მოწყობა, რომლის მიზანია ბეტონის ქარხნის მომარაგება დამსხვრეული ინერტული მასალით, ასფალტის ქარხნის მომარაგება და გზის ყრილების ზედა ფენისთვის, რომლის მოწყობა ასევე დაგეგმილია მომავალში კომპანიის მიერ სამშენებლო ბანაკის ან სხვა ტერიტორიაზე. წელიწადში გამოსაშვები ქვიშა-ხრემის რაოდენობა, 264 სამუშაო დღის და დღე-ღამეში 8 საათი მუშაობის პირობებისთვის, შეადგენს 401 280 ტონა ინერტული მასალების გადამუშავება. გადამუშავების შედეგად მიიღება პროდუქციის 3 ფრაქცია, რომლებიც ცალ-ცალკე დასაწყობდება ღია სივრცეში.

- ქარხნის დაგეგმილი საათობრივი წარმადობა იქნება 190 მ<sup>3</sup>/სთ;
- საწარმო წელიწადში იმუშავებს 2112 სთ;
- წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა - 264 დღე;
- დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმი.

სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის შემადგენლობაში შევა შემდეგი ელემენტები:

- პანდუსი;
- ქვიშა-ხრემის მიმღები ბუნკერი - APF90-30-15-D;
- საცერი - AGS-1020;
- ყბებიანი ქვის სამსხვრევი - AJC-90;
- ვიბრაციული საცერი - AVS-1540-O-2;
- ვიბრაციული საცერი - AVS-2050-O-3
- როტორული სამსხვრევი VSI-900-CR-2M;
- ქვიშის სარეცხი;



- ლენტური ტრანსპორტიორი;
- საოპერატორო;
- სამ-სექციანი სალექარი, ტუმბოთი;
- ჩამტვირთველი ბუნკერი - ARB-20K\_BF-7535;
- ნედლეულის და მზა პროდუქციის ღია საწყობები.

ქარხანაში ნედლეულის (ქვიშა-ხრემის ბალასტი) შემოტანა მოხდება ავტოთვითმცლელების საშუალებით, რაიონში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან.

წარმოებული პროდუქტი ფრაქციული ზომების მიხედვით თითქმის თანაბრად ნაწილდება და შეადგენს:

- 0-5 მმ ფრაქციის ქვიშა - 135-140 ათასი მ<sup>3</sup>/წელ;
- 5-10 მმ ფრაქციის ღორღი - 135-140 ათასი მ<sup>3</sup>/წელ;
- 10-20 მმ ფრაქციის ღორღი - 125-130 ათასი მ<sup>3</sup>/წელ.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზირებულია და იმართება სპეციალური სამეთვალყურეო კაბინიდან, ოპერატორების მეშვეობით.

პროდუქტის გარეცხვის შემდეგ წარმოქმნილი საწარმოო წყალი, რომელიც შეიცავს მხოლოდ შეწონილ ნაწილაკებს, გაწმენდის მიზნით გადავა ჰორიზონტალურ სალექარში, რომლის მოცულობა იქნება 70 კბ.მ. საწარმოო წყლების გაწმენდა მოხდება სალექარში და შემდგომ გამოყენებული იქნება ხელმეორედ, ქვიშა-ხრემის რეცხვის პროცესში. ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

## 2.1.2 სამშენებლო ბანაკის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება

### 2.1.2.1 წყალმომარაგება

სამშენებლო ბანაკში წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო (ტექნიკური) დანიშნულებით. საწარმოო დანიშნულებით წყლის გამოყენება საჭირო იქნება ბეტონის წარმოებისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და მშრალ ამინდებში სამშენებლო მოედნების მოსარწყავად. სამშენებლო ბანაკში იგეგმება ბეტონის და სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნების განთავსება.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დამოკიდებულია სამუშაოების შესრულებაზე დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. როგორც აღინიშნა, დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 170 ადამიანს. სამშენებლო ნორმებისა და წესების „შენობების შიდა წყალსადენი და კანალიზაცია” – СНиП 2.04.01-85 მიხედვით და ერთ მომუშავეზე 8 საათის განმავლობაში შეადგენს 45 ლ-ს. შესაბამისად სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი იქნება:

$$170 \times 45 = 5850 \text{ ლ/დღ, ანუ } 7,65 \text{ მ}^3/\text{დღ}; 7,65 \times 264 = 2027,25 \text{ მ}^3/\text{წელ}.$$

სასმელი წყლის მოხმარება მოხდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მობილური ავზის საშუალებით შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. შემოტანილი სასმელი წყალი შეინახება 10 მ<sup>3</sup> მოცულობის უჟანგავი ფოლადის ცილინდრული ფორმის რეზერვუარში, საიდანაც ნაწილდება ონკანებში. სასმელ წყალს პერიოდულად (ან საჭიროებისამებრ) ჩაუტარდება ლაბორატორიული შემოწმება. სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის წყალ-აღება მოხდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილი 2 ერთეული ჭაბურღილიდან შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.



ბეტონის მობილური ქარხანა წლის განმავლობაში იმუშავებს 264 დღე და 8 საათიანი სამუშაო დღის გათვალისწინებით, წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა იქნება 2112 საათი. 90 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის ბეტონის კვანძის საშუალებით წელიწადში შესაძლებელი იქნება 190 080 მ<sup>3</sup> ბეტონის ნარევის წარმოება. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1 მ<sup>3</sup> ბეტონის ნარევის წარმოებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 0.1 მ<sup>3</sup>-ს, ბეტონის ნარევის წარმოებისათვის წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება 19 008 მ<sup>3</sup>/წელ. საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდისთვის გათვალისწინებულია 2 სექციანი სალექარის მოწყობა, საიდანაც გაწმენდილი წყალი ტუმბოს საშუალებით ბრუნდება საწარმოო ციკლში. ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხანა წლის განმავლობაში იმუშავებს 264 დღე და 8 საათიანი სამუშაო დღის გათვალისწინებით, წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა იქნება 2112 საათი. 190 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის ბეტონის კვანძის საშუალებით წელიწადში შესაძლებელი იქნება 401 280 მ<sup>3</sup> ინერტული მასალის გადამუშავება. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1 მ<sup>3</sup> ინერტული მასალის გადამუშავებისთვის საჭირო წყლის რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 0.240 მ<sup>3</sup>-ს, შესაბამისად წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება 96 307,2 მ<sup>3</sup>/წელ. პროდუქტის გარეცხვის შემდეგ წარმოქმნილი საწარმოო წყალი, რომელიც შეიცავს მხოლოდ შეწონილ ნაწილაკებს, გაწმენდის მიზნით გადავა სალექარში. საწარმოო წყლების გაწმენდა მოხდება ჰორიზონტალურ სამ სექციან სალექარში, რომელიც გაწმენდის შემდეგ ტუმბოს საშუალებით ბრუნდება ქვიშა-ხრემის რეცხვის პროცესში. ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ავტომანქანების სარეცხი მოედნის მოწყობა, სადაც დღის განმავლობაში მოხდება საშუალოდ 10 ერთეული მანქანის გარეცხვა. ერთი მანქანის რეცხვისათვის საშუალოდ გამოყენებული იქნება 150 ლ წყალი, რაც დღის განმავლობაში შეადგენს 1,5 მ<sup>3</sup>-ს, ხოლო წლის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 396 მ<sup>3</sup>/წელს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სულ ტექნიკური მიზნებისათვის საჭირო წყლის სრულად გამოიყენება საწარმოო პროცესში, ხოლო სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ავტოსამრეცხაოში ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება:

$$2027,25 + 396 = 2423,25 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

### 2.1.2.2 ჩამდინარე წყლები

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების რაოდენობა იანგარიშება გამოყენებული წყლის 5%-იანი დანაკარგით და შესაბამისად სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება: 7,3 მ<sup>3</sup>/დღე და 1926 მ<sup>3</sup>/წელ.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გაწმენდის შემდეგ გროვდება ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარში, რომლის მოცულობა იქნება 64 მ<sup>3</sup>. რეზერვუარში დაგროვილი გაწმენდილი წყლის გატანა მოხდება პერიოდულად კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელია ავტომანქანების სამრეცხაოს ფუნქციონირების პროცესში. როგორც 2.1.2.1. პარაგრაფშია მოცემული ავტოსამრეცხაოს ფუნქციონირებისათვის დღის განმავლობაში საჭირო იქნება 1.5 მ<sup>3</sup> წყალი, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 396 მ<sup>3</sup>. ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების დაბინძურება მოსალოდნელია შეწონილი ნაწილაკებით და ნავთობის ნახშირწყალბადებით. სამრეცხაოს ჩამდინარე წყლებისთვის მოწყობილი იქნება ნავთობდამჭერი, ხოლო შემდეგ სამდონიანი ჰორიზონტალური სალექარი, საიდანაც გაწმენდილი წყალი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება სამსხვრევ-დამხარისხებელ ქარხანას საწარმოო პროცესისთვის.



### 2.1.2.3 ჩამდინარე წყლების მართვა

სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების გაწმენდისთვის დაგეგმილია ღრმა ბიოლოგიური გამწმენდი სისტემის მოწყობა (KANN ECO ULTRA 25).


ჩამდინარე წყლების საბოლოო ხარისხობრივი მდგომარეობა შეესაბამება, როგორც საქართველოს გარემოსდაცვით ნორმებს, ისე ევროდირექტივის მოთხოვნებს.

დასახელება	შემომავალი წყალი	განწმენდილი წყალი
მეწონილი ნაწილაკები	<500	10-15მგ/ლ
ქმ(ქანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება)	<35	10-15მგ/ლ
ქმ(ქანგბადის ქიმიური მოთხოვნილება)	200-400	20-40მგO2/ლ
საერთო აზოტი	40-50	0.5მგ/ლ
ფოსფატი	10-20	2.0მგ/ლ

ჩამდინარე წყლები გაწმენდის შემდეგ გროვდება ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარში, რომლის მოცულობა იქნება 64 მ<sup>3</sup> (იხ. სქემა 2.1.2.3.1) . რეზერვუარში დაგროვილი გაწმენდილი წყლის გატანა მოხდება პერიოდულად კონტრაქტორი კომპანიის მიერ (გამწმენდის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. თავი 2.1.1.1-ში).



სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემის სქემა 2.1.2.3.1



### 3 გარემოს ფონური მდგომარეობა

საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები/რისკები:

სკრინინგი \_ შპს „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენი“



- ხმაური და მავნე ნივთიერებების ემისიებით გამოწვეული ზემოქმედება;
- ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე;
- ზემოქმედება წყლის გარემოზე;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე;
- ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება;
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- კუმულაციური ზემოქმედება.

დაგეგმილი საქმიანობის ხასიათის და მდებარეობის გათვალისწინებით წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში არ არის განხილული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედებები და საფუძვლები იხილეთ ცხრილში 3.1.

**ცხრილი 3.1**

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღების საფუძველი
მიწის საკუთრება და გამოყენება	სამშენებლო ბანაკი განთავსებულია ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენი“ საიჯარო ხელშეკრულებით გამოყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობით კერძო მიწის ნაკვეთებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელია.
დაცული ტერიტორიები	საპროექტო უბანზე ეროვნული კანონმდებლობით დაცული ტერიტორიების მნიშვნელოვანი მანძილით დაშორების გამო პროექტის განხორციელების შედეგად მათზე უარყოფითი ზემოქმედებების რისკები არ არსებობს.

**3.1 ხმაური და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში**

საპროექტო ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების სტაციონალური წყაროები არ ფიქსირდება. უშუალოდ ბანაკის ექსპლუატაციით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელება დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან და სამშენებლო ბანაკში მიმდინარე საქმიანობებთან, მათ შორის ბეტონის და სამსხვრევ დამზარისხებელი ქარხნების ექსპლუატაციასთან. უახლოესი საცხოვრებელი სახლი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანაკის საზღვრიდან არის დაახლოებით 1.3 კმ-ში რაც გამორიცხავს ემისიების და ხმაურის უარყოფით გავლენას უახლოეს დასახლებულ პუნქტზე.

სამშენებლო ბანაკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ემისიებით და ხმაურით დაბინძურების ძირითადი რეცეპტორები იქნება უახლოესი საცხოვრებელი და ბიოლოგიური გარემო. როგორც ზემოთ აღვნიშნა უახლოესი საცხოვრებლის დიდი დაშორება (1.3 კმ) გამორიცხავს ემისიების და ხმაურის უარყოფით გავლენას, ხოლო ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც განხილულია გზშ-ს ანგარიშში სამშენებლო ბანაკის ფაქტორი ვერ გააუარესებს, რადგან იგი მდებარეობს სამშენებლო ავტომაგისტრალის მომიჯნავედ.

საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 2 წელი, შესაბამისად ემისიების გავრცელების და ხმაურის გამომწვევი ობიექტების ექსპლუატაცია დროებითია და გზის მშენებლობის დასრულებისთანავე სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტები შეაჩერებენ ექსპლუატაციას და მოხდება მათი დემონტაჟი.

ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის და ემისიების გავრცელების დონე არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ ნორმებს. გაანგარიშება შესრულებულია ყველა დანადგარის ერთდროული მუშაობის სცენარისათვის, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია. ამასთანავე ემისიების და ხმაურის გამომწვევი წყაროები





დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 1.3 კმ-ით, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ზემოქმედების არ არსებობას ან უმნიშვნელო გავლენას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციის პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

### **3.1 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე**

სამშენებლო ბანაკის ტერიტორია მნიშვნელოვანი ტექნოგენური და ანთროპოგენული დატვირთვის მქონეა, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს და შესაბამისად ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გამომუშავებული გრუნტის უდიდესი ნაწილი გამოყენებული იქნება სამშენებლო ობიექტების მოსაწყობად უკუყრილებისთვის. დიდი ალბათობით გამომუშავებული გრუნტი სრულიად მოხმარდება სამშენებლო სამუშაოებს, ნაწილი კი განთავსდება ქ. საგარეჯოს არასახიფათო ნარჩენების პოლიგონზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. დანართი 6.3 ხელშეკრულება).

სამშენებლო ბანაკის მოწყობა/ექსპლუატაციის პროცესში შეიძლება ითქვას რომ ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობამ და ნარჩენების არასწორმა მართვამ. სამშენებლო ბანაკში საწვავის სამარაგო რეზერვუარებისთვის მოწყობილი იქნება ავარიულ დაღვრის საწინაარმდეგო სისტემა, შესაბამისად ნავთობპროდუქტების დაღვრის და ტერიტორიაზე გავრცელების რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია.

ყოველივე ზემოხსენებულის და სწორი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით, გრუნტის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

### **3.2 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე**

სამშენებლო ბანაკის ტერიტორია წარმოდგენილია ტექნოგენური და ანთროპოგენული ლანდშაფტით. საველე კვლევების დროს, საპროექტო ცვლილებების ტერიტორიებზე დაცული ხე-მცენარეების არცერთი ინდივიდი არ დაფიქსირებულა. ტერიტორიაზე წარმოდგენილია დაბალი საკონსერვაციო ღირებულის 8 სმ-ზე მცირე დიამეტრის ახალგაზრდა ეგზემპლარები (იხ. სურათები 3.2.1; 3.2.2.). ბიოლოგიური გარემოს შეფასებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ტერიტორია მდებარეობს სამშენებლო გზის მომიჯნავედ, შესაბამისად გზის მშენებლობის პროცესში ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებას მნიშვნელოვნად არ ამძაფრებს სამშენებლო ბანაკის მოწყობა/ექსპლუატაცია.

ფაუნის გარემო არ არის მრავალფეროვანი და მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება ჩაითვალოს მინიმალურად.



სურათი 3.2.1 - საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეული საფარი



სურათი 3.2.2 - საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეული საფარი

ბიოლოგიური გარემოს არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სამშენებლო ბანაკის მოწყობა/ფუნქციონირებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, თუმცა საქმიანობის განხორციელების ორივე სტადიაზე საჭირო მოსალოდნელი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად საჭიროა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც გზშ-ის ანგარიშში ფართოდ არის მოცემული.

### 3.3 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

აუდიტის შედეგების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ გამოირჩევა სუსტი გეოლოგიური პირობებით, ამასთან აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ბანაკი მოეწყობა დადებით რელიეფზე. პროექტის მიხედვით სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობების, მოწყობა და შესაბამისად საძირკვლებისათვის ღრმა თხრილების მოწყობა საჭირო არ იქნება. ბეტონის და სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნები წარმოადგენენ მობილური ტიპის დანადგარებს.



აღნიშნულის გათვალისწინებით სამშენებლო ბანაკის მოწყობა და ფუნქციონირება საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკებთან დაკავშირებული არ იქნება.

### 3.4 ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება

დაგეგმილი საქმიანობები ფარგლებში მოსალოდნელია, როგორც სახიფათო ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, შესაბამისად მათი არასწორი მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია რიგი რეცეპტორების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება.

ნარჩენების მართვის პროცესი სრულად წარიმართება ნარჩენების მართვის გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც „კომპანიის“ მიერ შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (იხ. დანართი 6.4 - ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი). ნარჩენების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ნარჩენების მართვის გეგმაში.

### 3.5 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაკავშირებულია ვიზუალური ფონის შეცვლასთან, მაგრამ ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი, რადგან მშენებლობა გაგრძელდება დაახლოებით 2 წლის გამავლობაში. მშენებლობის დასრულების შემდეგ მოხდება სამშენებლო ბანაკის ფარგლებში არსებული ობიექტების დემონტაჟი, ხოლო ტერიტორიას ჩაუტარდება რეკულტივაცია. უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო ბანაკი მდებარეობს სამშენებლო გზის მომიჯნავედ, შესაბამისად გზის მშენებლობის პროცესი ისედაც განაპირობებს ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას (დეტალურად განხილულია გზმ-ს ანგარიშში - თავი 7.7 ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება, გვ. 244), რომლის ფონზე სამშენებლო ბანაკის უარყოფითი გავლენა ვიზუალურ-ლანდშაფტური თვალსაზრისით უმნიშვნელოა მისი დროებითი ეფექტის გათვალისწინებით.

### 3.6 ზემოქმედება წყლის გარემოზე

საპროექტო სამშენებლო ბანაკის საზღვრის კონტურიდან, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. თვალთხევი (მდ. იორის მარცხენა შენაკადი) მდებარეობს დაახლოებით 350 მ-ის დაშორებით, თუმცა სამშენებლო ბანაკის ტერიტორია (რელიეფის ჰიფსომეტრიული ნიშნულების გათვალისწინებით) არ წარმოადგენს მდ. თვალთხევის წყალშემკრები აუზის ნაწილს. იგი დაკავშირებულია უშუალოდ მდ. იორის კალაპოტის წყალშემკრებ არეალთან. მდ. იორი სამშენებლო ბანაკიდან დაშორებულია 1.2 კმ-ით.

სამშენებლო ბანაკში არსებული ყველა პოტენციურად დამაბინძურებელი ნივთიერებები განთავსდება დახურულ შენობაში. ნარჩენების სწორი მართვა, სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყლების მართვის განხილული გადაწყვეტები, სამშენებლო ბანაკი ზედაპირული წყლის ობიექტებთან დაშორება, განაპირობებს წყლის გარემოზე ნაკლებად მოსალოდნელ ზემოქმედებას.

სამშენებლო ბანაკის განთავსების არეალში გრუნტის წყლები ზედაპირთან ახლოს არ არის. წინასწარ კვლევებზე დაყრდნობით იგეგმება 150 მ-მდე ჭაბურღილების გაყვანა ტექნიკური წყლის მისაღებად. კვლევებით მოცემული გრუნტის წყლების დონეები უზრუნველყოფს მის დაცვას ზედაპირული შესაძლო დაბინძურების ზემოქმედებისგან.

სამშენებლო ბანაკის სამეურნეო ფეკალური წყლების მართვისთვის გათვალისწინებულია ღრმა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომელიც დაკავშირებული იქნება რეზერვუართან



(საიდანაც მოხდება პერიოდული გატანა კონტრაქტორის მიერ), შესაბამისად სამეურნეო ფეკალურ წყალს შემხებლობა არ იქნება არც ზედაპირულ და არც მიწისქვეშა წყლებთან.

პროექტის მიხედვით ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლებისთვის მოეწყობა ნავთობდამჭერი დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლებიდან ნავთობპროდუქტების დაჭერას.

საწარმოო წყლები, ავტოსამრეცხაოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩათვლით სრულად გამოყენებული იქნება ბეტონის და სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნების საწარმოო პროცესში.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაცია წყლის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების გამომწვევი არ იქნება.

### 3.7 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი რისკები ძირითადად უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, მაგალითად: სატრანსპორტო საშუალებების დაჯახება, დენის დარტყმა, ტრავმატიზმი სამშენებლო და საწარმოო ტექნიკა-დანადგარებთან მუშაობისას და სხვ. პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები, მკაცრი ზედამხედველობის პირობებში.

სამუშაოების დაწყებამდე და შემდგომ პერიოდულად პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგები შრომისუსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხებზე, დაწესდება მკაცრი კონტროლი პირადი დაცვის საშუალებების გამოყენებაზე. სამშენებლო ბანაკი, დაცული იქნება სათანადოდ (გამოყენებული იქნება შემოღობვა, გამაფრთხილებელი ნიშნები. ტერიტორიაზე უცხო პირების გადაადგილებას გააკონტროლებს დაცვის თანამშრომელი).

დაგეგმილი ღონისძიებები ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს.

### 3.8 ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკები

საპროექტო დერეფანი წამოადგენს მაღალი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ტერიტორიას, სადაც უკვე ჩატარებულია სავსე მონიტორინგი ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის მიზნით, რომლის ფარგლებშიც საყურადღებო ობიექტები არ გამოვლენილა. სამშენებლო ბანაკის მოწყობის პროცესში არ იგეგმება ღრმა მიწის სამუშაოები.

მიუხედავად არსებული მოცემულობისა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში საჭიროა მუდმივად მეთვალყურეობდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რათა არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის ან არქეოლოგიური არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მოხდეს სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერება და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მოწვევა ძეგლის/არტეფაქტის მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით.

### 3.9 კუმულაციური ზემოქმედება

სამშენებლო ბანაკის გავლენის ზონაში მოქცეულ ტერიტორიებზე რაიმე სამრეწველო საწარმო ან გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაღალი რისკის მქონე ობიექტი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად ბანაკის ექსპლუატაცია, მისი დროებითი ეფექტის გათვალისწინებით გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების მაღალ რისკებთან დაკავშირებული არ იქნება.



#### 4 გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება

დაგეგმილი საქმიანობით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც მოცემულია ქვემოთ:

საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
	დიახ	არა	
<b>საქმიანობის მასშტაბი</b>			
დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.		+	სამშენებლო ბანაკის გავლენის ზონაში მოქცეულ ტერიტორიებზე რაიმე სამრეწველო საწარმო ან გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაღალი რისკი მქონე ობიექტი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად ბანაკის ექსპლუატაცია, მისი დროებითი ეფექტის გათვალისწინებით გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების მაღალ რისკებთან დაკავშირებული არ იქნება.
ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		+	სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად გათვალისწინებულია 50 729 მ <sup>2</sup> ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომელზეც ამხანაგობა „გოჩაი ინშაათი და მაქრო კონსტრაქშენს“ გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო ბანაკის მოწყობა ფიზიკურ განსახლებას არ ითვალისწინებს. ტექნიკური დანიშნულების წყლის ლიცენზიის ფარგლებში მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენს 57 600 მ <sup>3</sup> /წელ რაც გრუნტის წყლების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის. სამშენებლო ბანაკის მოწყობისას ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან ობიექტი მაღალი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე უბანზე ეწყობა. გამომდინარე აღნიშნულიდან, ბუნებრივ რესურსებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები იქნება მინიმალური.
ნარჩენების წარმოქმნა		+	ნარჩენების მართვა მოხდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.
გარემოს დაბინძურება და ხმაური		+	სამშენებლო ბანაკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ემისიებით და ხმაურით დაბინძურების ძირითადი რეცეპტორები იქნება უახლოესი საცხოვრებელი და ბიოლოგიური გარემო. როგორც ზემოთ არინიშნა უახლოესი საცხოვრებლის დიდი



			დაშორება (1.3 კმ) გამორიცხავს ემისიების და ხმაურის უარყოფით გავლენას, ხოლო ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც განხილულია გზმ-ს ანგარიშში სამშენებლო ბანაკის ფაქტორი ვერ გააუარესებს, რადგან იგი მდებარეობს სამშენებლო ავტომაგისტრალის მომიჯნავედ.
საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		+	ავარიული სიტუაციების პრევენციული და შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები განხორციელდება გზმ-ის ანგარიშში მოცემული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიხედვით.
<b>დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა</b>			
ჭარბტენიან ტერიტორიასთან		+	-
შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		+	-
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		+	-
დაცულ ტერიტორიებთან		+	-
მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		+	სამშენებლო ბანაკისათვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს ქ. საგარეჯოში, რომელიც ქ. საგარეჯოს უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 1.3 კმ-ით. არსებული გარემოპირობების და დაგეგმილი საქმიანობების მახასიათებლების მიხედვით დაგეგმილი საქმიანობით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		+	საპროექტო დერეფანი წამოადგენს მაღალი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ტერიტორიას, სადაც უკვე ჩატარებულია სავსე მონიტორინგი ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის მიზნით, რომლის ფარგლებშიც საყურადღებო ობიექტები არ გამოვლენილა. სამშენებლო ბანაკის მოწყობის პროცესში არ იგეგმება ღრმა მიწის სამუშაოები. მიუხედავად ამისა, სამშენებლო სამუშაოები წარიმართება სიფრთხილის ზომების მაქსიმალური დაცვით.
<b>საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი</b>			
ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		+	-
ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		+	შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების პირობებში და სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირების შეზღუდული ვადების გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე განსაკუთრებით მაღალ, შეუქცევად ზემოქმედებას არ გამოიწვევს.



## 5 დასკვნა

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში ეხება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) გაუმჯობესების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ცვლილებას, კერძოდ სამშენებლო ბანაკის მოწყობას მშენებელი კონტრაქტორის მიერ შერჩეულ ტერიტორიაზე (კმ 27+ 840 - კმ 35+500 ლოტი 2).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის 4.13.2 ქვეთავის შესაბამისად, სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად შერჩეული იქნა ხუთი ალტერნატიული ტერიტორია, შემდეგი საკადასტრო კოდებით - 81.10.39.269; 81.10.27.730; 81.10.27.974; 81.10.30.696; 55.15.62.050 (გზშ-ის ანგარიში, გვ. 46), თუმცა მშენებელი კონტრაქტორის მიერ მოხდა სხვა უფრო ხელსაყრელი ტერიტორიის მოძიება დროებითი ბანაკის მოსაწყობად. შერჩეული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 55.12.62.001.605) წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია და გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება.

სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთის შერჩევა მოხდა გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სამშენებლო ბანაკში დროებითი ნაგებობები იქნება მსუბუქი კონსტრუქციის, რომელთა საძირკველიც მოთავსდება ბეტონის ფილაზე.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებული იქნება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, საიდანაც გაწმენდილი წყალი დაგროვდება 64 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიკულ ორმოში. დაგროვილის გატანა მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

სასმელ-სამეურნეო და ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლისთვის გათვალისწინებული იქნება ნავთობდამჭერის და სალექარის მოწყობა.

საწარმოო წყლები, ავტოსამრეცხაოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩათვლით სრულად გამოყენებული იქნება ბეტონის და სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნების საწარმოო პროცესში.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიები მდებარეობს მაღალი ტექნოგენური და ანთროპოგენული დატვირთვის მქონე უბანზე, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება სამშენებლო ბანაკის მოწყობის და ფუნქციონირების შემთხვევაში იქნება მინიმალური. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ჩატარებული კვლევების მიხედვით ფაუნის არცერთი დაცული სახეობა არ გვხვდება განსახილველ უბანზე, რაც შეეხება ფლორას, წარმოდგენილია დაბალი საკონსერვაციო ღირებულების 8 სმ-ზე მცირე დიამეტრის ახალგაზრდა ეგზემპლიარები.

მოწყობისას ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან ტერიტორია მაღალი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე უბანზე ეწყობა.



6 დანართები

6.1 დანართი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



ბიჭის (უპრავი ქონების) საკატასტრო კოდი **N 55.12.62.001.605**

**ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**

განცხადების რეგისტრაცია  
N 882022361229 - 25/05/2022 12:17:56

მომზადების თარიღი  
06/06/2022 16:58:34

**საკუთრების განყოფილება**

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
საგარეჯო	ქალაქი საგარეჯო			ნაკვეთის დანიშნულება: არსასასოფლო სამეურნეო
<b>55</b>	<b>12</b>	<b>62</b>	<b>001/605</b>	დამუსტავი ფართობი: 50729.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი საგარეჯო				ნაკვეთის წინა ნომერი: <b>55.12.62.001.605</b> ;

**მესაკუთრის განყოფილება**

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022270900 , თარიღი 20/04/2022 15:16:13  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/04/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სრძანება N 1/1-2210 , დამოწმების თარიღი: 19/04/2022 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია", ID ნომერი: 405007200

მესაკუთრე:

შპს "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"

აღწერა:

**იპოთეკა**

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

**სარგებლობა**

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022361229	მოიჯარე ამხანაგობა გოჩაი ინშაათი თააპუთ ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი 205497354;
თარიღი 25/05/2022 12:17:56	საგანი: დამუსტავი ფართობი: 50729.00 კვ.მ;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/06/2022	იჯარის ხელშეკრულება N47/22, დამოწმების თარიღი: 25/05/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
	იჯარის ხელშეკრულება N47/22, დამოწმების თარიღი: 30/05/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,





## ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფინიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკეთრებაში არსებული მატერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს ლეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხიველით."

- ლიკენინგის სამედიცინო განამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), სებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეცნოკური ხარვემის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



## 6.2 დანართი - მიწისქვეშა წყლის მოპოვებაზე ლიცენზიის მოთხოვნა



მიწიერალური რესურსების  
ეროვნული სააგენტო

საიდენტიფიკაციო კოდ/პირადი ნომერი  
445433120

გადამხდელის დასახელება  
**შპს მაქრო ქონსტრაქშენ**  
გადამხდელის მისამართი

ელ-ფოსტა  
z.aslan@maqro.ge  
ტელეფონი  
514574477

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განცხადება წყლის (გარდა მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენება)  
ლიცენზიის მოპოვების შესახებ

გთხოვთ გამოაცხადოთ აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

რაიონი/დასახლებული პუნქტი: საგარეჯო/ქ. საგარეჯოს მიმდებარედ

სასარგებლო წიაღისეულის სახეობა: მიწისქვეშა მტკნარი წყლების სხვა სამეწარმეო მიზნით გამოყენება ; წიაღით სარგებლობის რაოდენობა და ზომის ერთეული: 57600 მ<sup>3</sup>/წელიწადში; ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2 წელი; წყლის სარგებლობის მიზნობრიობა: სხვა სამეწარმეო დანიშნულება; ჭის ან ჭაბურღილის საგარეულო სიღრმე: 125-130 მეტრი

#### განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები

- \* რუკები
- მიბმული ფაილები

#### დამატებითი ინფორმაცია:

..

გაგეყანი "სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების მე-7\* 5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს და თანახმა ვარ მივიღო აუქციონში მონაწილეობა.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 22/11/2022 02:28:12

ID: 74732, შტრიხკოდი: 3206011

ქ.თბილისი დ. აღმაშენებლის 150, ტელ: 2 439 557  
ქ.ქუთაისი ი.აბაშიძის 14 კონსტრუქციის სელოკოს მიმდებარედ.



გვ. 1



### 6.3 დანართი - ხელშეკრულება მოხსნილი გრუნტის განთავსების შესახებ

#### მომსახურების ხელშეკრულება N37

29.04.2022

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, მისი დირექტორის გიორგი შუხოშვილის სახით, (შემდგომში წოდებული როგორც „შემსრულებელი“) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ამხანაგობა „გოჩაი ინშაათ თააპუთ ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი - მაქრო კონსტრაქშენ“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მურათ ავჯის სახით, (შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“) მეორის მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.1 შემსრულებელი ორგანიზაცია 2017 წლის 08 თებერვლის N8-თ ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს დაახლოებით 30 000 (ოცდაათი ათასი ) ტონა იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი მყარი ნარჩენის (მიწა, გრუნტი მინარევების გარეშე) განთავსების მომსახურებას შემსრულებლის ბალანსზე არსებული ქ.საგარეჯოს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (შემდგომში - მომსახურება).

#### მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს და უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნული მომსახურების გაწევა.

#### მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 3.1 შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:
- 3.2 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.
- 3.3 მომსახურების გაწევისას დაიცვას საერთაშორისო სტანდარტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პირობები.
- 3.4 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.
- 3.5 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.
- 3.6 დამკვეთის უფლება-მოვალეობები:
- 3.7 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.
- 3.8 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.
- 3.9 შემსრულებლის კუთვნილ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ნარჩენის შემოტანა უზრუნველყოს სახანძრო და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

#### მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

- 4.1 1 (ერთი) ტონა იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი მყარი ნარჩენის (მიწა, გრუნტი მინარევების გარეშე) განთავსების მომსახურება არის უსასყიდლო .
- 4.2 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ ნარჩენების განთავსების აქტს.
- 4.3 შემსრულებლის მხრიდან ნარჩენების განთავსების აქტს ხელს აწერს შემსრულებლის სტრუქტურული ერთეულის - რეგიონული მართვის დეპარტამენტის თანამშრომელი შესაბამის რეგიონში.

#### მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

- 5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.



**მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება**

6.1 დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ წერილობით.

7.2 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ორგანიზაციის 2017 წლის 08 თებერვლის N8-ო ბრძანების დანართში, რომლითაც რეგულირდება შესატანი ნარჩენის სახეობები და საფასური შევა რაიმე სახის ცვლილება, ხელშეკრულება დაკორექტირდება შესაბამისად.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან.

**მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

**შემსრულებელი:**

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, იურიდიული მის: ქ. თბილისი, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N14 მე-3 სართული, საიდენტიფიკაციო კოდი: 404942470, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

ხელმოწერა



გიორგი შუხოშვილი

**დამკვეთი:**

ამხანაგობა „გოჩაი ინშაათ თააჰუთ ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი - მაქრო ქონსტრაქშენ“, იურიდიული მისამართი : ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი / ფანჯიკიძის ქ. 22, საიდენტიფიკაციო კოდი: 205497354

ხელმოწერა



მურათ ავჯი



6.4 დანართი - ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი



საქართველო  
GEORGIA

გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL  
PROTECTION AND AGRICULTURE  
OF GEORGIA

N 5407/01  
02/06/2022

5407-01-2-202206021049



საქართველოს საავტომობილო გზების  
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს  
ქალბატონ სალომე წურჭუმეას

მისამართი: 0160 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12

ქალბატონო სალომე,

„კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ 2022 წლის 13 მაისის N2-08/7104 წერილით წარმოდგენილი LLC JV „Gocay Insaat Taahhut ve Ticaret Anonim Sirketi and Maqro Construction“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი 205497354) მიერ მომზადებული საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი - ბაკურციხე - ლავოდები - აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი - ბაკურციხის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) მეორე ლოტის კმ27+840-კმ35+500-ს მონაკვეთის 2022-2024 წლების ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმებული იქნა სამინისტროს მიერ.

პატივისცემით,

სოლომონ პავლიაშვილი

მინისტრის მოადგილე



0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

www.mepa.gov.ge

6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044



## 6.5 დანართი - სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის კოორდინატების ელექტრონული ვერსია - shape ფაილი



დანართი  
6.5\_სამშენებლო ბა